ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №126

2014 წლის 24 ოქტომბერი,
ქ. ბათუმი

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბრის №117 დადგენილებით გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით საკონკურსო კომისიის შემადგენლობისა და უფლებამოსილების ვადის განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, ბსუ–ს წესდების მე–8 მუხლის, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის“ საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ჩატარების მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა **დანართი 1**–ის შესაბამისად;
2. საკონკურსო კომისიის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს ა/წ 27 ოქტომბრიდან 7 ნოემბრამდე;
3. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, ბსუ-ს წესდებით, სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 25 დეკემბრის №3 გადაწყვეტილებით და „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 19 სექტემბრის №115 დადგენილებით;
4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**

დანართი 1

საკონკურსო კომისია

საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ბიოლოგიისა და ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიის მიმართულება:

1. ნანა კოშორიძე (პროფესორი);
2. ანზორ დიასამიძე (ემერიტუსი-პროფესორი)
3. რეზო ზოსიძე (ემერიტუსი-პროფესორი);
4. დავით ბარათაშვილი (პროფესორი)